

ლილი ნუცუბიძის  
პოეზიის ენისათვის  
FOR THE LANGUAGE  
OF LILI NUTSUBIDZE'S POETRY

მარინა ქაცარავა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო

Marina Katsarava

Akaki Tsereteli State University  
Kutaisi, Georgia

**ABSTRACT**

Lili Nutsubidze's poetic world stands out as an exceptional phenomenon within Georgian literature. As the beloved poet of the Georgian people, she adorned national poetry with numerous masterpieces.

Among Lili Nutsubidze's works, the poems dedicated to love, the purest of human feelings, are particularly distinguishable. The poems have garnered the interest of many renowned composers who have then composed beautiful songs based on them.

Lili Nutsubidze's poetry reflects her boundless affection for Kutaisi, her hometown. She devoted exceptional care and dedication to safeguarding the Georgian language, which she perceived as encompassing the entirety of the universe, history, and experiences, whether joyous or challenging.

Lili Nutsubidze possessed a special gift for instilling a positive mindset in her readers, achieved through words meticulously and delicately chosen in her writing process. The poet skillfully employs figurative expressions, epithets, metaphors, similes, and so on. Academician Besarion Jorbenadze stated,

‘in the works of a talented poet, the language takes on a newfound brilliance.’ Lili Nutsubidze's poems have the power to infuse even commonly used words with a renewed vibrancy.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული პოეზია, ლილი ნუცუბიძის პოეტური ენა.

**Keywords:** Georgian poetry, the poetic language of Lili Nutsubidze.

### შესავალი

„ვინ ვარ მე ახლა?“ – ასეთი კითხვით მიმართა თავის თავს გამოჩენილმა პოეტმა ქალმა ლილი ნუცუბიძემ ერთ-ერთი ლექსში, მკითხველს და თვითონვე ასე უპასუხა: „მოხუცი ქალი, შვილების დედა, დიდი ბებია“. ეს იყო პასუხი თავმდაბალი ქართველი პოეტისა და დედისა ლილი ნუცუბიძისა. იგი ამ დროს უკვე იყო ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი, რომელმაც მრავალი უჭკნობი შედეგით გაამდიდრა ქართული ეროვნული პოეზია. ლილი ნუცუბიძე განსაკუთრებით საამაყო იყო ქუთაისისათვის.

წარმოდგენილ სტატიაში გაანალიზებული ქართველი პოეტის ლილი ნუცუბიძის ლექსები, წარმოჩენილია მისი პოეზიის ენის ხიზლი, განსაკუთრებული პოეტური ბუნება, ქუთაისთან დამოკიდებულება, ეროვნული მოტივები...

### მეთოდოლოგია

კვლევისას გამოყენებულია აღწერისა და ანალიზის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც წარმოჩენილია ლილი ნუცუბიძის პოეტური ენის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე შემოქმედის ზოგადი იდეალები.

### მსჯელობა

ლილი ნუცუბიძემ ადრიდანვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება იმ ლექსებით, რომლებშიც იკვეთებოდა მაღალი ადამიანური იდეალები, ჩანდა მისი პოეტური ბუნების განმსაზღვრელი საუკეთესო ნიშან-თვისებები:

ვუმღერ ყველა ერეკლეს,  
ავთანდილს და მზექალას,  
ვინც მკერდს გადაუდაფნავს  
ნამუსიან ქვეყანას.  
აი, ვის გამარჯვებას  
და სიცოცხლეს ვინატრებ.  
მზეო, უფრო გაბრწყინდი,  
მზეო, უფრო გვინათე,  
მიწა ბარაქიანი,  
ოქროსფერი ყანები...  
საყვარელო მამულო,

გკოცნი გეთაყვანები („საყვარელო მამულო“, გვ. 4).

განსაკუთრებით სულისშემძვრელია მისი ლექსი „ნანგრევები“ (წიგნი „მოვდივართ შენთან გვ. 79). იგი ხატოვნად აღწერს იმ ფაქტს, რომ სტუმრად მოსულ უცხოელს ბაგრატი, ვარდია, გელათი, გეგუთი რატომღაც ნანგრევებად აღუქვამს. პოეტმა ცნობილ პეტრე ჭაბუკიანი ღიმილით ათქმევინა:

„ო, ეს ჩაქცეული ქვები, ნანგრევები,  
ერის სულია ნატანჯი, ნაგვემი,  
შემომივლია მთელი დუნია,  
ვყოფილვარ ამერს და იმერს,  
მინახავს რა ზღვები, რა გემები,  
მაგრამ მერე რა,  
ვაი, იმ ერს,

ვისაც არ გააჩნია ნანგრევები”.

ლილი ნუცუბიდის ლექსებში ჩანს განსაკუთრებული, უსაზღვრო სიყვარული მშობლიური ქუთაისისადმი:

მინდა შენს მიწას ვემთხვიო,  
ვარდებში გადავიკარგო,  
ბაგრატის ტაძრის ჩუქურთმა  
ზედ გულზე ამოვიქარგო („სიმღერა ქუთაისზე”, გვ. 8).  
ან კიდევ: ქუთაისის ქუჩები  
სიყვარულით ვამშვენე,  
თეთრი ხიდის ჯგბირი  
ცრემლით ამოვაშენე,  
ქუთაისის ქუჩებში  
ყვავილების ჯარია,  
ჩემს სიყვარულს დარაჯობს  
ჩემი ჭიამაია („ჩემი სიმღერა” გვ. 9)

პოეტის ლექსებში დიდი პოეტური ოსტატობით არის გადმოცემული ადამიანის სულიერი განწყობა. სიყვარული მოყვასისადმი, განსაკუთრებით დედისადმი:

„ნურც შემეპაროს სევდა,  
ნურმც ვინმემ მნახოს მწყრალი,  
ღმერთო, მიცოცხლე დედა,  
მიეც ღონე და ძალი” („დედა”, წიგნში: „დედა და პოეტი”).

ლილი ნუცუბიდის პოეზიაში კარგად ჩანს მისი პოეტური ბუნების განმსაზღვრელი საუკეთესო თვისებები. მისი შთაგონების წყაროდ იქცეოდა სამშობლო, დედა, ტრფობა. მშობლიური ქუთაისი, შვილები:

„ამ ცის ნათელი ღიმილად მშვენის  
და ვარ ჭიგოზე ასხმული ლერწი,  
მამულო ჩემო, ეს არის ჩემი

შენდამი თქმული სიტყვაც და ლექსი” („სამშობლოს დილა“, წიგნში „ვალი გადაუხდელი”, გვ. 76).

ქართულ ენას ლილი ნუცუბიძე სხვანაირად ეჭირისუფლებოდა. იგი მასში ხედავს მთელ სამყაროს, ჩვენს ისტორიას, ჭირსა და ლხინს. მისი შეხედულებით, ქართული ენა გვასწავლის ჩვენი მიწის ყველა მტკაველის სიყვარულს:

დედაენა, სიტყვის კონა,  
მზის სხივებით დართული,  
დამაქრული, დათაფლული,  
დედაენა ქართული,  
სულ უჭკნობი გაზაფხული,  
ყვავილების შრიალი,  
ბულბულების ფრთების გაშლა,  
სალამურის წვრიალი.  
ან კიდევ: ვინ გვასწავლა სიყვარული  
მშობლიური მთა-ველის,  
ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვატარა

მიწის ყველა მტკაველი,  
ვინ გვასწავლა სიყვარული  
ყანების და ზვრებისა,  
ვინ დალოცა ვაზისპირი,  
შუქი გათენებისა.

მამა-პაპის სიყვარული  
ვინ გვასწავლა პირველად,  
ჭირსა შიგან გამაგრება  
ქვეყნის გასაკვირველად  
და რკალივით შემოევლო  
ჩვენი ქვეყნის კიდე-განს,  
აკვანშივე დაგვაფიცა

საქართველოს დიდება („დედაენა“, წიგნში: „მოლოდინი“, გვ. 10).

ლილი ნუცუბიძის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოირჩევა ადამიანის გამაკეთილშობილებელი, უწმინდესი გრძნობის, სიყვარულისადმი მიძღვნილი ლექსები. ამ ლექსების მომხიბვლელობამ მრავალი ცნობილი კომპოზიტორის ყურადღება მიიპყრო. შეიქმნა დიდებული სიმღერები. ეს არც არის გასაკვირი. ლ. ნუცუბიძეს მუსიკის შეგრძნების ნიჭი ჰქონდა ბუნებისაგან მომადლებული:

მერცხლებს გაიხდის გულის მრჩეველებად,  
ის აღარა ხარ, რაც გუშინ იყავ.

ეკალი ვარდად მოგეჩვენება,  
თუ ვინმეს ეტრფი, თუ ვინმე გიყვარს” („სიმღერა სიყვარულზე“).

ან კიდე: ჩემი სული მოგიპარავს,  
ვეღარ მკითხავ, რატომ გეტრფი,  
ქვეყანაზე სხვა რომ არა,

გავჩნდებოდი მარტოშენთვის“ („სხვარომ არა“, სიმღერა სიყვარულზე).

პოეტი ქალის ლექსებში საკუთრივ მისი სუბიექტური აზრები და მისწრაფებებია გამოხატული. იგი ხშირად ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ქალაქის ღირსეულ ადამიანებს განსაკუთრებული პოეტური ოსტატობით საქვეყნოდ უცხადებს თავის სიყვარულს. მან ლექსები მიუძღვნა ჩვენს სახელოვან პიროვნებებს: პეტრე ჭაბუკიანს, ოთარ სულაბერიძეს, ოთარ ბრეგაძეს, ანა კალანდაძეს, ლევან სანიკიძეს, ლადო ასათიანს, მერაბ კოსტავას.

„წახვედი, გულში დაგვიტოვე ტკივილი,

ხსოვნას შერჩი გაუხუნარ ელდად,

ვინ იცოდა შენნაირი ღიმილი,

შენნაირი ღიმილი და სევდა“ („ყვავილებში დაკარგული ბიჭივით“.

წიგნში: „ჩემი ლაჟვარდი“. გვ. 50).

„საქართველოს, მომავალო,

საქართველოს წარსულო,

ქრისტესავით წამებულო,

ქრისტესავით ჯვარცმულო” („მაინც მოვა გაზაფხული“, ეძღვნება მერაბ კოსტავას გვ. 5).

არ შეიძლება ლ. ნუცუბიძის ლექსების კითხვისას არ მოიგონო ცნობილი ქართველი მწერლის – ანა კალანდაძის ცნობილი შეგონება:

„მოვიგონებ ერთ ბრძნულ გამონათქვამს: „ყმაწვილს ისევე უნდა ყოველწუთიერი თვალყურის მიდევნება, როგორც ცეცხლზე შემოდებულ რძესო. ასევე მუდმივი და შეუწელებელი ზრუნვა და ყურადღება სჭირდება ენასაც” (გოგოლაშვილი 2013: 268).

მართლაც, ლ. ნუცუბიძეს ჰქონდა არაჩვეულებრივი ნიჭი, მკითხველისათვის შეექმნა დადებითი განწყობა, რისთვისაც იგი ჩვეულებრივი ადამიანის გაწყობილებების გამოხატვას ახერხებდა ზუსტად მიგნებული სიტყვებით. მისი პოეზია მთელი სიცხადით წარმოაჩენს მისთვის საჭირო სიტყვას, რომელსაც ახლებურ ელფერს აძლევს:

„ყოველ გაზაფხულს,  
როცა კვირტები  
ფეთქვას იწყებენ,  
რადცა მტკივა,  
მეც სადედოფლო  
კაბით ვირთვები  
და მზის სხივს

ყელზე მოვიბამ მძივად” („მოლოდინი”. წიგნში: „სიმღერა სიყვარულზე”, 1909: 58).

ან კიდევ: „რას ჩურჩულებენ, ნეტა ვინ იცის,  
რიონის პირას თეთრი თელეები,  
ისევ ნაცნობი გზით და ბილიკით  
მოვდივან შენთან და გეფერები” („მოვდივარ შენთან”, იქვე, გვ. 76).

ასევე: „ერთი შეხეთ, ვით მორთულა  
გაზაფხული სერებზე,  
რიკოთი და რიკოთული  
დგანან ფეხის ცერებზე („უსათაურო”, წიგნში: „ჩემი ლაჟვარდი”, გვ. 76, 86).

ლ. ნუცუბიძე ოსტატურად იყენებს ხატოვან გამოთქმებს, ეპითეტებს, მეტაფორებს, შედარებას:

„რა გულსაკლავად  
შერჩენია ბაგეს წყურვილი  
და ლაჟვარდებში  
იმირება სადამო ლურჯი,  
ქარში უეცრად  
გადატეხილ სალამურივით  
ცაში მერცხლებმა გაიტაცეს  
ფერადი ფუნჯი („უსათაურო“, წიგნში: „მოლოდინი“, გვ. 56).

ანდა: ვარდის ცვარში გაბანავებ,  
რძისფერ ნისლში დაგაწვენ,  
აკაციის ყვავილებში  
ღმერთი გეტყვის დანარჩენს („გაზაფხული”. წიგნში: მოლოდინი, გვ. 11).

ასევე: „მზე თითქოს მარტო შენთვის ანათებს  
და ნაკადული რიკრიკებს შენთვის,  
ღამეს ალუბლის ტოტზე გაათევ,

თუ ვინმე გიყვარს, თუ ვინმეს ეტრფი“ („თუ ვინმე გიყვარს“, გვ. 48).

ლ. ნუცუბიძე ხშირად მიმართავს მეტაფორას, რადგან მეტაფორა პოეტური სურათის მხატვრული სახის დახატვის უზადლო ოსტატობის გამოვლინებაა:

„შემოდგომის მზე

ალმაცერად დაჰყურებს გორებს,

მზეს ოქროს გულში

სადარდელი რად გაუჩინე („მეხრე“. წიგნში: „ვალი გადაუხდელი“, გვ. 26)'

ან კიდევ: „გამარჯობათ ყვავილებო,  
ჩამომართვით ხელი“.

პოეტის მიერ წარმოდგენილი მეტაფორები პოეტურად მოხდენილია, მკითხველის გრძნობა-გონების დამმორჩილებელია:

„დარდით მთების გულიც გალღვა,

აცილებენ ცხარე ცრემლით.

ფიქრობს ვაჟი, ჰო, ახლა

გამოჩნდება ჩემი მხსნელი“ („იმერული ბალადა“. წიგნში: „მოლოდინი“ გვ. 177).

„მზე მადნება ტუჩებში

და სხივებს ჰკრავს თაღებად“ („ჩემი სიმღერა“. წიგნში: „მოლოდინი“, გვ. 162).

„მზეს ქარიშხალმა

დაასწრო მოსვლა,

შემოახვია ხეებს სამოსი“ („საბედისწერო მგზავრობა“, წიგნში: „ვალი გადაუხდელი“, გვ. 62).

მეტაფორული მეტყველება უყვარს ბევრ მწერალს, ზოგჯერ ეს გადაჭარბებულიცაა. ლ. ნუცუბიძის პოეზიაში ასეთი შემთხვევა არ გვაქვს.

„მთას სურს მკერდი მოიქარგოს

ზღაპრულ დილას ჩამოშლილი დაღალით“ („ჩიტი მღერის“. წიგნში: „მოლოდინი“, გვ. 132).

პოეტი ემოციურობის გასაძლიერებლად ხშირად მიმართავს გამეორების სტილისტიკურ ხერხს, რომელიც ესთეტიკური და შემეცნებითი მნიშვნელობის შემცველია.

„მოკვდა კაცი და შეიცხადეს,

პური უყვარდაო, –

მოიტანეს

ვარდი უყვარდაო,

მოიტანეს

სიტყვა უყვარდაო, –

სიტყვაც ბლომად ითქვა

ამდენი პური და ღვინო,

ამდენი ცრემლი და ვარდი,

ამდენი სიყვარული

ოი, ღმერთო,

მას აღარ უნდოდა არცერთი („პატივისცემა ადამიანს“, წიგნში: „ვალგადაუხდელი“, გვ. 9).

ავტორის მიერ გამეორების გამოყენება მკითხველს უმახვილებს ყურადღებას, უძლიერებს შთაბეჭდილებას:

თუ შედგა ერთი კი არა,  
სამი უღელი ერთად,  
მახრჩობდა ერთი კი არა  
სამი მდინარე ერთად.

გძიმგნიდა ერთი კი არა,  
სამი წერა და ყვავი,

მტკიოდა ერთი კი არა,

სამი მოჭრილი მკლავი“ („რა სათქმელი“, იქვე, გვ. 18).

პოეტი განმეორებას ზოგჯერ ყოველი სტრიქონის დასაწყისში იყენებს:

თუ არ გაგიღო კარი,

თუ არ გაგიყო პური,

თუ არ გაგიყო წყალი,

თუ არ გაგიყო ჭირი,

თუ არ გაგიყო ლხინი,

თუ არ დაგიდგა მხარში

წყეულიმც ვიყო მაშინ („უსათაურო“, წიგნში „მოლოდინი“, გვ. 19).

ან კიდევ: ჩემო ცაო და

ჩემო ცისკარო,

ჩემო სახლო და

ჩემო ჭიშკარო,

ჩემო მტკვარო და

ჩემო რიონო,

მიწაო მართლა

ერთო ფიქრო („ჩემო დღეებო“, წიგნში: „ვალგადაუხდელი“, გვ. 15).

ასეთი გამეორებები უმეტესად მაშინაა უფრო მომარჯვებული, როცა

პოეტი ცდილობს, რომელიმე საგანი ან მოვლენა მრავალმხრივ წარმოაჩინოს.

ლილი ნუცუბიძე შედარებას მნიშვნელოვან ფუნქციას ანიჭებს:

ზეცის თაღივით ამაღლებულ

მის ტრიბუნაზე

მშვიდობის დროშა,

მშობის დროშა აღიმართება („ყრილობის დროშა“, წიგნში: „ვალგადაუხდელი“, გვ. 5).

ან კიდევ: ორღობეში ჩაწოლილი შიში

ნაგაზივით გრძნობდა ომის ხანძარს („ბალადა ოდესელ ბიჭზე“, წიგნში: „ვალგადაუხდელი“, გვ. 19).

იყო, ცოცხლობდა

პატარა ქუჩა,

მკერდი სიკეთით

ჰქონდა გაშლილი,

სიპატარავე

არაფრად უჩნდა

პირმომცინარეს

ჩვილი ბავშვივით („პატარა ქუჩა“, გვ. 75).

ლილი ნუცუბიძის მრავალფეროვან პოეზიას კიდევ არაერთი ლექსი ამშვენებს, რომელიც მდიდარია გამომსახველობითი საშუალებებით, მხატვრული ხერხებითა თუ ენობრივი საშუალებებით.

#### დასკვნა

ლილი ნუცუბიძის პოეტური სამყარო განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ მწერლობაში. მან მრავალი უჭკნობი შედევრით გაამდიდრა ქართული ეროვნული პოეზია, მის ლექსებში ზოგჯერ გაცვეთილი სიტყვები ახალ ფერადოვნებას იძენენ. პოეტს ზუსტად მიესადაგება გამოჩენილი ენათმეცნიერის ბესარიონ ჯორბენაძის სიტყვები: „ნიჭიერი პოეტის მეტყველებაში ახლებურ ელვარებას იწყებს ენა“.

მართლაც, ნაადრევად წავიდა ჩვენგან ლილი ნუცუბიძე, მაგრამ მისი შემოქმედება პოეტის ხსოვნას სამუდამოს ხდის.

#### გამოყენებული ლიტერატურა

**გოგოლაშვილი 2013:** გოგოლაშვილი გ., ქართული სალიტერატურო ენა. თბილისი, 2013.

**დეკანოზიშვილი 2014:** დეკანოზიშვილი ქ., სიკეთის ესთეტიკა. ქუთაისი, 2014.

**ზანდუკელი 1985:** ზანდუკელი ფ., მხატვრული ოსტატობის საკითხები ქართულ ფოლკლორში. თბილისი, 1985.

**ნუცუბიძე... 1968:** ნუცუბიძე ლ., სოხაძე მ., პეტრე ჭაბუკიანი, თბილისი, 1968.

**ნუცუბიძე 1981:** ნუცუბიძე ლ., ვალი გადაუხდელი. ქუთაისი, 1981.

**ნუცუბიძე 1986:** ნუცუბიძე ლ., ჩემი ლაჟვარდი. ქუთაისი, 1986.